# სპეციალური კოლექციის სპეციალისტის კომპეტენციები

მარინა ხარაზიშვილი

ბიბლიოთეკათმცოდნეობაში **სპეციალურ კოლექციებს** წარმოადგენენ ბიბლიოთეკები ან ბიბლიოთეკის ის კონკრეტული განყოფილებები, რომლებშიც განთავსებული მასალები საჭიროებენ განსაკუთრებულ უსაფრთხოებასა და შენახვის პირობებს. უმჯობესია მათი შენახვა ისეთ ადგილებში, სადაც ტემპერატურა, ტენიანობა, განათება და სხვა გარემო პირობები უკლებლივ კონტროლირდება, ხოლო სათანადო უსაფრთხოება უზრუნველყოფს მასალების დაცვას არასანქციური წვდომისგან, ქურდობისა და ვანდალიზმისგან.

სპეციალურ კოლექციებში განთავსებული მასალები შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ფორმატში (იშვიათი წიგნები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, არქივები, ციფრული ჩანაწერები) და, როგორც წესი, ხასიათდება თავისი არტიფაქტული ან ფულადი ღირებულებით, ფიზიკური ფორმატით, უნიკალურობითა და იშვიათობით.

**სპეციალური კოლექციები,** როგორც წესი, ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული კვალიფიციური მკლევარებისთვის (მაგალითად, უნივერსიტეტის პროფესორები და დოქტორანტები). ჩვეულებრივ, მასალები სპეციალური კოლექციებიდან არააქტიურია (იგულისხმება, რომ შეუძლებელია მათი ბიბლიოთეკებიდან რაიმე ვადით გამოტანა).

რისკის შემცირების მიზნით ხშირად გამოყოფილია სპეციალური სამკითხველო დარბაზები.

მომხმარებლებს წარუდგენენ გარკვეულ პირობებს: ხელთათმანების გამოყენება, ფოტოგადაღების აკრძალვა და ა.შ.

ჩნდება შეკითხვა:

## რა კომპეტენციებს უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალისტი, რომელიც მუშაობს სპეციალურ კოლექციებთან?

სპეციალური კოლექციების სპეციფიკიდან გამომდინარე სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა არსებული მასალების შესახებ. ამ ცოდნასა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის ურთიერთკავშირი ორმხრივია - ძირითადი მოვალეობების შესასრულებლად საჭიროა გარკვეული ცოდნა, მაგრამ, ამავე დროს, მათი შესრულებისას ცოდნის დონე მატულობს.

კომპეტენციებში ჩამოთვლილი ცოდნა და უნარები ყველა სპეციალისტს ერთნაირად ვერ გამოიყენება, ისინი განსხვავდება სამუშაოს აღწერილობისა და გამოცდილების დონის შესაბამისად. ამ კომპეტენციებიდან თითოეულის ინტერპრეტაცია შესაძლებელია კვალიფიკაციის სამი დონის შესაბამისად.

**საბაზისო**: ერკვევა საქმიანობაში; შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით მისი შესრულება ან გააჩნია საბაზისო ცოდნა, დაწყებითი დონის პოზიციის შესაფერისია.

**კვალიფიცირებული**: დავალებას დამოუკიდებლად ასრულებს, ხელმძღვანელობის გარეშე, კარგად ერკვევა საკითხში.

**ექსპერტი**: აქვს მოცემული საქმიანობის შესრულების გამოცდილება; თავად იძლევა მითითებებს; გავლენას ახდენს პროფესიული საქმიანობის გაგებაზე; აქვს ფუნდამენტური ცოდნა და შეაქვს თავისი წვლილი საერთო საქმიანობაში.

# კომპეტენციების ნუსხა

## ფუნდამენტური კომპეტენციები

## სპეციალიზირებული კომპეტენციები

- კოლექციის შემუშავება
- აღწერა და წვდომა
- ინფორმაციული ტექნოლოგიები და მონაცემთა მართვა
- ტრენინგი
- მართვა, დაკვირვება და ხელმძღვანელობა
- დაცვა და შენახვა
- პოპულარიზაცია
- ურთიერთობა მომხმარებელთან

# ფუნდამენტური კომპეტენციები

დღესდღეობით სპეციალური კოლექციები უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება. ისინი არსებითად განსხვავდებიან დაწესებულების სტრუქტურიდან გამომდინარე, კოლექციის შინაარსის, აუდიტორიის, ფუნქციონალური დანიშნულებისა და მომსახურების მიხედვით. სპეციალური კოლექციების სპეციალისტი ხშირად განიცდის ამ მრავალფეროვნებას თავისი კარიერის განმავლობაში.

ფუნდამენტური კომპეტენციები უნდა პასუხობდნენ შემდეგ შეკითხვას: «რა განსაზღვრავს სპეციალური კოლექციების სპეციალისტს საბაზისო დონეზე?» შესრულებადი სამუშაოს ტიპის მიუხედავად.

იგი ასევე გულისხმობს ისეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ რთულად შესაფასებელ თვისებებს, როგორიცაა კარგი კომუნიკაციის უნარი, პროფესიისადმი ერთგულება და უწყვეტი სწავლის ვალდებულება. ეს სია განკუთვნილია მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი სფეროს გადასაჭრელად და მოიცავს გამოყენების და შენარჩუნების ფუნდამენტურ კონცეფციებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენ საქმიანობას.

1. წარმოადგენს გლობალური კოლექტიური კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობისთვის განსაკუთრებული კოლექციების შენარჩუნების მნიშვნელობას და ამ მნიშვნელობის გააზრებას.

2. იცის ისტორიის, თეორიებისა და მოწინავე პრაქტიკის საფუძვლები, რომლებიც ეხება ბიბლიოთეკების სპეციალური კოლექციების მასალებს. მაგალითად: დაბეჭდილი წიგნები, ხელნაწერები და საარქივო მასალები; სურათები, გრავიურები, რუკები და სხვა გრაფიკური სამუშაოები; ყველა ფორმატის აუდიოვიზუალური მასალები; ციფრული; არტ-ობიექტები და სამგანზომილებიანი ობიექტები.

3. გააჩნია მოცემული კოლექციებისთვის აუცილებელი კულტურული და ენობრივი კომპეტენციები.

4. განავითარებს ცოდნას ინფორმაციული რესურსების მიღებისა და გავრცელების შესახებ.

5. განავითარებს ცოდნას საარქივო და დაუბეჭდავი მასალების შესაქმნელად გამოყენებული მეთოდებისა და წყაროების შესახებ ფიზიკური, ფოტოგრაფიული და ციფრული პროცესების გამოყენებით; ცნობს საარქივო მასალების ღირებულებას.

6. ხელს უწყობს პროპაგანდის სხვადასხვა მეთოდების დახმარებით სპეციალური კოლექციების გამოყენებას.

7 აკავშირებს და მხარს უჭერს მომხმარებლის სხვადასხვა ჯგუფებს სპეციალურ კოლექციებთან მუშაობისას; ცნობს კოლექციების მასალების კვლევისა და შესწავლის პოტენციალს და შეუძლია მათი ეფექტურად შედარება სხვადასხვა აუდიტორიის საჭიროებებთან.

8. ამყარებს კავშირებს პროფესიულ ორგანიზაციებთან.

9. განავითარებს სპეციალიზირებულ კომპეტენციებს პრაქტიკული საქმიანობის კონკრეტულ სფეროებში (მაგალითად, კოლექციების შემუშავება, მათი აღწერა და მათი წვდომა, სწავლება და სწავლა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და მონაცემთა მართვა და სხვ.); ამავე დროს, ის რჩება მოქნილი და ღია ახალი უნარებისა და საგნობრივი ცოდნის შესაძენად.

# სპეციალიზირებული კომპეტენციები

შემდეგი სპეციალიზირებული კომპეტენციები გამომდინარეობს ფუნდამენტურ კომპეტენციებში ჩამოთვლილი ცოდნისა და პრაქტიკული უნარებიდან. თითოეული სექციის შესავალი აღწერს ამ სფეროს პრაქტიკული უნარების კონტექსტს სპეციალურ კოლექციებთან მუშაობისათვის, ხოლო შესაბამისი კომპეტენციები აღწერს საჭირო ფუნქციებს. სპეციალური კოლექციების სპეციალისტს აკისრია მრავალი ვალდებულება.

# კოლექციის შემუშავება

სპეციალური კოლექციების სპეციალისტები ქმნიან, აგროვებენ და მართავენ კოლექციებს დაწესებულებების მიერ წამოყენებული მისიებისა და მომხმარებლების მოთხოვნების შესაბამისად. ბიბლიოთეკარები აქტიურად მონაწილეობენ ინტელექტუალური და კულტურული ისტორიის შენარჩუნებაში.

## კომპეტენციები:

- ამკვიდრებს კოლექციის შემუშავების პრინციპებსა და მეთოდოლოგიებს.
- იყენებს შეძენის ეფექტურ და ეთიკურ მეთოდოლოგიებს.
- ურთიერქმედებს მჩუქნელებთან მათი იდენტიფიკაციის ჩათვლით; აწარმოებს საჩუქრების შესახებ მოლაპარაკებებს; აფორმებს სასაჩუქრე ხელშეკრულებების აქტებს; აღრიცხავს მიმდინარე და მომავალი ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების პრობლემებს.
- განავრცობს არსებული მასალების შეძენასთან, ჩუქებასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ ცოდნას.
- ამყარებს და ინარჩუნებს ეფექტურ ურთიერთობებს მომწოდებლებთან და ორგანიზაციებთან,
- განსაზღვრავს სპეციალური კოლექციისთვის შესაფერის მასალებს ამ კოლექციის კრიტერიუმების (ფორმატის, იშვიათობის, დეფიციტის, ასაკის, ფიზიკური და შინაგანი მახასიათებლების, მდგომარეობისა და სტაბილურობის, საბაზრო ღირებულების, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის) საფუძველზე.
- აუცილებლობის შემთხვევაში შეიმუშავებს სხვა დაწესებულებთან თანამშრომლობის სტრატეგიებს.

# აღწერა და წვდომა

სპეციალურ კოლექციებში მასალების დამუშავების ან/და აღწერის სპეციალისტებს მოეთხოვებათ ბიბლიოგრაფიული და საარქივო მონიტორინგის სიღრმისეული პრაქტიკული ცოდნა.

## კომპეტენციები:

- აღწერს სპეციალური კოლექციების მასალებს მეტამონაცემების თანამედროვე მეთოდების შესაბამისად.

- უზრუნველყოფს მასალების სწორად და ეფექტურად დამუშავებას და აღწერას საარქივო ან/და ბიბლიოგრაფიული პრინციპების, წარმოების მეთოდების, წიგნების ისტორიისა და ხელოვნების ცოდნის გამოყენებით.

- მომხმარებლის საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრავს დამუშავების შესაბამის მეთოდებსა და აღწერილობებს; გააზრებული აქვს წვდომისა და ძიების მნიშვნელობა; დროულად უზრუნველყოფს მომხმარებელს სათანადო ინსტრუქციებით.

- განავრცობს ცოდნას სპეციალური კოლექციების მასალების დამუშავებასა და აღწერასთან დაკავშირებით არსებული სტანდარტების, სახელმძღვანელო პრინციპების, ინსტრუმენტებისა და ტენდენციების შესახებ.

- იყენებს მონაცემთა მართვის პლატფორმებისა და მონაცემთა მოდელების ცოდნას, სპეციალური კოლექციების მასალების მოძიებისა და მათზე ინტელექტუალური წვდომის გასაადვილებლად.

- ხელს უწყობს შეძენის, დამუშავების პრიორიტეტულობის, თაროების მომზადებისა და ყველა ფორმატში სპეციალური კოლექციების შენარჩუნების ადგილობრივი პროცედურების შემუშავებას.

# ინფორმაციული ტექნოლოგიები და მონაცემთა მართვა



კოლექციის მონაცემებზე წვდომის მიზნით სპეციალური კოლექციების სპეციალისტები იყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ისინი იკვლევენ, აფასებენ და იყენებენ შესაბამის შესაძლებლობებს, რათა არსებული კოლექციები მომხმარებლისთვის აღქმადი იყოს. სწრაფად ცვალებად ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობა მოითხოვს მოქნილობას, უწყვეტ სწავლებას და სხვა ბიბლიოთეკარებთან თანამშრომლობის უნარს. სპეციალური კოლექციების სპეციალისტები შეიმუშავებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სტანდარტებს.

## კომპეტენციები:

- შეიმუშავებს სტანდარტებისა და ტენდენციების თანამედროვე ცოდნას ციფრული კოლექციების შექმნასთან, მართვასთან, შენახვასთან, ორგანიზებასთან, შეფასებასთან, აღწერასთან და შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

- იყენებს ციფრული შენახვის, მონაცემთა მართვისა და კონტენტის მართვის სისტემებს.

- სპეციალური კოლექციების ეფექტურად მომსახურების მიზნით იყენებს მონაცემთა მოდელების და მოთხოვნების ენის ცოდნას.

- მართავს ციფრულ საცავებს ციფრული ობიექტების შექმნის, შეერთების, რედაქტირების, აღწერისა და შენახვის მიზნით.

- ინარჩუნებს აქტიურ ცოდნას მონაცემთა მართვის შესახებ.

- იყენებს პროექტის მართვის უნარებს როგორიცაა: პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, თანამშრომლების კოორდინაცია და შედეგების შესახებ ანგარიშგება.

- არის თანამშრომლების დიპლომატიური მენტორი ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხებთან დაკავშირებით.

# ტრენინგი

სპეციალური კოლექციების სპეციალისტები ამ კოლექციების გამოყენებით უზრუნველყოფენ ტრენინგს, სწავლებასა და კვლევას. ისინი განავითარებენ ცოდნას კოლექციის შესახებ, რათა გააცნონ მომხმარებელი შესაბამისი რესურსის ღირებულებას და დაეხმარონ სასურველი მასალის მოძიებაში. ისინი გვეხმარებიან სწავლების მეთოდების გამოყენებასა და განათლებაში ცვალებადი ტენდენციებისადმი ადექვატურ რეაგირებაში.

## კომპეტენციები:

- იყენებს შესაბამის ეფექტურ პედაგოგიურ მეთოდებს სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებლების მიმართ; ასწავლის კვლევის მეთოდოლოგიებს, პირველადი წყაროს მნიშვნელობასა და ინტერპრეტაციის უნარებს.

- აღიარებს კოლექციური მასალების გამოყენებადობის პოტენციალს სწავლებასა და კვლევაში სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად.

- ეძებს პოტენციურ თანამშრომლებს; ამ თანამშრომლებთან ერთად აქტიურად მუშაობს ეფექტური სასწავლო პროცესის შექმნაზე; სპეციალური კოლექციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით შეიმუშავებს ინოვაციურ სტრატეგიებსა და სწავლების საშუალებებს.

- ამჟღავნებს შესაბამისი დისციპლინარული და ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების ცოდნას; საძიებო სტრატეგიების გამოყენებით ეხმარება მომხმარებლებს საჭირო მასალების მოძიებაში; ასწავლის ურთიერთკავშირის დანახვას კვლევის, ახალი ცოდნის შექმნის, პუბლიკაციისა და სამეცნიერო კომუნიკაციის სხვა ფორმებს შორის.

- იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესსა და კვლევაში; ასწავლის მომხმარებელს შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებას.

## მართვა, დაკვირვება და ხელმძღვანელობა

სპეციალური კოლექციების სპეციალისტები ხშირად ვალდებულნი არიან მართონ რესურსები და უხელმძღვანელონ თანამშრომლებსა და პროექტებს. ზემოხსენებულმა ვალდებულებებმა შეიძლება მოიცვან სტრატეგიული და მატერიალურ-ტექნოლოგიური დაგეგმვა, თანამშრომელთა შერჩევა და სხვ. რეკომენდაციების გამოყენებით მართვის პასუხისმგებლობამ შეიძლება შეიტანოს მნიშვნელოვანი და მდგრადი წვლილი ამ პროფესიაში.

## კომპეტენციები:

- იცავს სპეციალური კოლექციების მნიშვნელობასა და ღირებულებას ორგანიზაციაში და მის ფარგლებს გარეთ.

- აწარმოებს ფინანსების გონივრულ მენეჯმენტს, მათ შორის, ბიუჯეტის დაგეგმვასა და კონტროლს, არსებული ფინანსური რესურსების მართვას, აგრეთვე სპეციალური დაფინანსების წყაროების შექმნასა და მაქსიმალურ გამოყენებას.

- სპეციალური კოლექციების ეფექტურად მართვის მიზნით იყენებს ეთიკურ, ადამიანურ, ფინანსურ და იურიდიულ ასპექტებს.

- პერსონალის დაქირავებისას ითვალისწინებს კონკრეტული პირების თავისებურებებს, მოთხოვნილებებსა და პოტენციალს.

- უზრუნველყოფს სპეციალურ კოლექციებთან მომუშავე პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მათ შორის მასალების ისტორიის, კულტურული შინაარსისა და კოლექციების მართვის შესწავლას.

- სპეციალური კოლექციების სპეციალისტებს უზრუნველყოფს ნორმალური სამუშაო პირობებით; აქტიურად მონაწილეობს კოლექციების სპეციალისტების კარიერულ განვითარება.

- იცის და ასწავლის სხვებს არსებული კანონების შესახებ, რომლებიც იცავს სპეციალური კოლექციების თანამშრომელთა უფლებებს.

- მონაწილეობს მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვაში.

- ახორციელებს საჩუქრების ეთიკურ მენეჯმენტს.

- იყენებს მართვის პრინციპებს პროექტების ინიცირების, გამარტივების, დასრულებისა და შეფასების მიზნით; იყენებს მენეჯერის უნარებს პროექტების დაგეგმვასა და რეალიზაციაში, პერსონალის კოორდინაციასა და ანგარიშების შექმნაში.

- ოპტიმიზაციას უკეთებს ხანგრძლივი შენახვის პირობებს და საშუალებებს, უსაფრთხოებასა და სპეციალური კოლექციების მასალების გამოყენებას.

- სიტუაციიდან გამომდინარე, განსაზღვრავს გრანტების გაცემის ან ფულადი სახსრების შეგროვების საშუალებებს.

- ახორციელებს კოლექციის შეფასებასა და დაზღვევას.

- ატარებს კვლევებს, პუბლიკაციებს და პრეზენტაციებს.

# დაცვა და შენახვა

სპეციალური კოლექციების სპეციალისტებს ესმით ობიექტების სხვადასხვა ფორმატში შენახვისა და დაცვის პრინციპები, ამოცანები და მეთოდები.

## კომპეტენციები:

- ესმის პრობლემები და ტენდენციები, ბიბლიოთეკებისა და არქივების დაცვის მიზნით იყენებს არსებულ სტანდარტებს და საკუთარ გამოცდილებას.

- ხელს უწყობს სპეციალური კოლექციის მასალების სწორ დამუშავებასა და შენახვას, ამ მეთოდებს შეასწავლის პერსონალსა და მომხმარებლებს.

- კოლექციის განვითარების პროგრამისა და მისი მართვის ფარგლებში ახორციელებს უსაფრთხოების შეფასების ღონისძიებებს; განსაზღვრავს კოლექციის მასალების შენახვისა და კონსერვაციის აუცილებლობას და აწესებს დამუშავების პრიორიტეტებს.

- იცის სპეციალიზირებული ექსპერტიზის რესურსები.

- ხელს უწყობს კატასტროფაზე რეაგირების პროცედურების მომზადებას.

- კოორდინაციას უწევს და ახორციელებს კატასტროფის მზადყოფნის გეგმებს.

# პოპულარიზაცია

პოპულარიზაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით. სპეციალური კოლექციების სპეციალისტის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია კოლექციების პოპულარიზაცია საზოგადოებრივი და პროფესიული ღონისძიებებისა და პუბლიკაციების, სოციალური ქსელებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვა ფორმების საშუალებით. ისინი ცდილობენ მოხსნან კოლექციებზე წვდომის ბარიერები და მომხმარებლის მოსაზიდად მოიძიონ შესაბამისი მეთოდები და საშუალებები.

## კომპეტენციები:

- ეფექტურად ამკვიდრებს სპეციალურ კოლექციებს მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებში; ამაღლებს სპეციალური კოლექციების მასალების საგანმანათლებლო და კვლევითი პოტენციალისადმი ინტერესს.

- გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებსა და პუბლიკაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ კოლექციების შექმნას და პირველადი წყაროების მნიშვნელობის გააზრებას.

- ქმნის მომხმარებელზე მორგებულ ინტერაქტიულ პროგრამებს, გამოფენებს და პლაკატებს.

- ემხრობა პირველადი წყაროს ღირებულების გააზრებას.

## ურთიერთობა მომხმარებელთან

ტრენინგის, სწავლებისა და კვლევების მხარდასაჭერად, სპეციალური კოლექციების სპეციალისტები ცდილობენ გააცნობიერონ თავიანთი მომხმარებლების სამეცნიერო საჭიროებები და, შესაბამისად, შეიმუშაონ კვალიფიკაცია, რესურსები და მომსახურება ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სპეციალური კოლექციების სპეციალისტები აქტიურად ურთიერთქმედებენ მომხმარებლებთან, ამჟღავნებენ პირად ინტერესს მათი თემების მიმართ, ეხმარებიან მათ მასალების მოძიებაში და თანამშრომლობენ ბიბლიოთეკის სხვა განყოფილებებთან, რომლებიც გავლენას ახდენენ პირველადი წყაროს გამოვლენასა და გამოყენებაზე. ამ ურთიერთობის გასამყარებლად, კოლექციის სპეციალისტები, მომხმარებლებს უწევენ პერსონალურ და დისტანციურ კონსულტაციებს, იმისთვის, რომ დაეხმარონ ციტირების, საგამომცემლო და საავტორო უფლებების დაცვის საკითხებში.

## კომპეტენციები:

- აუმჯობესებს და მხარს უჭერს საჯარო სერვისებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური კოლექციების მასალებზე წვდომას მათი ორგანიზაციების მისიის შესაბამისად.

- იცავს პროფესიის ეთიკურ სტანდარტებს, უზრუნველყოფს მომხმარებლის სამართლიან და სამაგალითო მომსახურებას, იცავს კოლექციებზე თანაბარი წვდომის პრინციპს დადგენილი შეზღუდვების შესაბამისად.

- იცავს არსებულ სტანდარტებს ამა თუ იმ მასალის წვდომასთან, დუბლირებასა და რეპროდუქციასთან დაკავშირებით; განმარტავს რეპროდუქციის, საავტორო უფლებებისა და კონფიდენციალურობის შესაბამის შეზღუდვებს; იცავს პროფესიონალურ ეთიკურ სტანდარტებს წვდომასა და რეპროდუქციასთან დაკავშირებით.

- აღრიცხავს კოლექციების ისტორიას, მათ შესახებ ინფორმაციას და შინაგან ღირებულებას კულტურული მემკვიდრეობის ფართო კონტექსტში.

- ახორციელებს ეფექტურ გასაუბრებებს კოლექციასთან მუშაობის შესახებ; გვიჩვენებს, როგორ გამოიყენოთ არსებული მასალები, მონაცემთა ბაზები, საძიებო ინსტრუმენტები და კატალოგები; გვეხმარება სხვა დაწესებულებებში შენახული მასალების აღმოჩენაში.

- აღიარებს სხვადასხვა მასალების განსხვავებული დამუშავების საჭიროებებსა და უსაფრთხოების მეთოდებს; აკმაყოფილებს მომხმარებლის საჭიროებებს, კოლექციების მხარდაჭერისა და შენარჩუნების გზით ოპტიმალურად დაცულ გარემოში.

- ურთიერთქმედებს მომხმარებელთა ჯგუფებთან და აფასებს მათ საჭიროებებს.

- აკვირდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ცვლილებებსა და ტენდენციებს.

- ინახავს სტატისტიკას და რეგულარულად აფასებს ცნობათა სამსახურების და ინსტრუქციების გავლენას.



# გამოყენებული წყაროები:

1. Guidelines: Competencies for Special Collections Professionals (http://www.ala.org/acrl/standards/comp4specollect)

2. ინტერნეტ–რესურსები.

გმადლობთ ყურადღებისათვის!